

ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის დიფერენცირებული
პროგრამები

თემზე დაფუძნებული
ამბულატორიული ფსიქიატრიული მომსახურება

რეკომენდაციები

საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის კოალიცია,
2018 წ.

დოკუმენტი მომზადდა კონსულტაციის და ტრენინგების ცენტრის (CTC) პროექტის „ჰოლისტური ზრუნვისა და რეაბილიტაციის მოდელების განვითარება საქართველოში“ ფარგლებში, საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის კოალიციის (GMHC) მიერ, გერმანული ფონდის „პური მსოფლიოსათვის“ (BfW) ფინანსური მხარდაჭერით.

დოკუმენტი მოამზადეს: მარინე კურატაშვილი

მანანა ელიაშვილი

მაია ნუცუბიძე

არჩილ ბეგიაშვილი

გიორგი გელეიშვილი

სოფიო ლებანიძე

საქართველო, თბილისი. 0102, ზ. ჭავჭავაძის 11/102
e-mail: georgianmhc@gmail.com; www.gmhc.ge

შინაარსი

შესავალი	4
ფსიქიკური აშლილობის მქონე ზრდასრული პირების ფსიქო-სოციალური (ფსიქიატრიული) რეაბილიტაცია, რეკომენდაციები	5
თავი I. ზოგადი ნაწილი	5
თავი II. რეკომენდაციები ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებში ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ინტერვენციების განხორციელებასთან დაკავშირებით	11
თავი III. რეკომენდაციები ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცალკეული მეთოდების დანერგვასა და გამოყენებასთან დაკავშირებით	16
ფსიქიატრიული სარეაბილიტაციო სერვისების განფასება	20
სათემო ფსიქიატრიული ამბულატორიული სამსახური, რეკომენდაციები	50
სათემო ფსიქიატრიული ამბულატორიული სამსახური, ბიუჯეტი	57
დანართი 1.	59
დანართი 2.	63

შესავალი

ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო კონცეფციის საფუძველზე 2014 წელს შემუშავდა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა „ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი და 2015-2020 წლის სამოქმედო გეგმა“. გეგმა ითვალისწინებს ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს რეფორმას, ხოლო მისმა მომავალმა მოწყობამ უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები: „მოქნილობა, მდგრადობა, სტიგმატიზაციის შემცირება, საჭიროებებსა და შედეგზე ორიენტირებულობა, მოვლისა და მკურნალობის მაღალი სტანდარტები და ფინანსური ტვირთის სამართლიანი გადანაწილება.“ სამოქმედო გეგმა ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში არსებულ გამოწვევებს შორის ასახელებს „ამბულატორიული მომსახურების გაძლიერებას და შესაბამისი სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფას (მედიკამენტების და ფსიქო-სოციალური ინტერვენციების მიწოდება, თემზე დაფუძნებული სერვისების განვითარება)“, ასევე „პრევენციაზე, სოციალურ ინტეგრაციასა და რეაბილიტაციაზე მიმართული სამსახურების მწირ რაოდენობას“. ამ გამოწვევებზე დაყრდნობით, სამოქმედო გეგმა სხვა ცვლილებებთან ერთად ითვალისწინებს ფსიქიკური ჯანმრთელობის ამბულატორიული სერვისების გარდაქმნას სათემო სერვისებად და ამ სერვისების გაფართოებას, ასევე ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სამსახურის განვითარებას, ფსიქო-სოციალური დახმარების დიფერენცირებული პროგრამების შემუშავებას.

აქ წარმოდგენილი რეკომენდაციების მიზანია სამოქმედო გეგმით განერილი აღნიშნული ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობა და მათი განხორციელების კონკრეტული გზების დასახვა.

რეკომენდაციები შემუშავებულია საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის კოალიციის მიერ პროექტის „ჰოლისტიკური ზრუნვისა და რეაბილიტაციის მოდელების განვითარება საქართველოში“ ფარგლებში, გერმანული ფონდის „პური მსოფლიოსათვის“ ფინანსური მხარდაჭერით.

რეკომენდაციების შემუშავებას წინ უძღოდა სამაგიდე კვლევა ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში ამჟამად არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ასევე თვისობრივი კვლევა ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების მომხმარებლების, მათი ოჯახის წევრების, სერვისებში დასაქმებული პროფესიონალების და მენეჯერების მონაწილეობით. კვლევა ჩატარდა ფოკუს-ჯგუფების და ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდების გამოყენებით, ამისათვის სპეციალურად შემუშავებული კითხვარებით. კვლევის მონაცემების გადამუშავების შედეგად მიღებული პირველადი მიგნებები წარდგენილ იქნა კვლევაში მონაწილე და სხვა დაინტერესებული პირებისთვის. მიღებული უკუკავშირი გათვალისწინებულ იქნა პირველად მიგნებებში, რომელიც ასევე აისახა რეკომენდაციებში.

წინამდებარე რეკომენდაციები ეხება 2 სფეროს, კერძოდ, თემზე დაფუძნებულ ამბულატორიულ ფსიქიატრიულ მომსახურებას და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის დიფერენცირებულ პროგრამებს მოზრდილთათვის.

თემზე დაფუძნებულ ამბულატორიულ ფსიქიატრიულ მომსახურებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები მოიცავს ისეთ თემებს, როგორცაა მომსახურების პრინციპები, მოწყობა, დაფარვის არეალი, ფიზიკური გარემო, კადრები, სამუშაო აღწერილობა და რეკომენდებული ინტერვენციები. ასევე მოცემულია რეკომენდაცია სათემო ამბულატორიული სამსახურის სახელმწიფო პროგრამის მოცულობასთან დაკავშირებით და წლების მიხედვით სათემო ამბულატორიული ფსიქიატრიული სამსახურის განვითარების ეტაპების შესახებ. რეკომენდაციები შედგენილია მოსახლეობის რაოდენობისა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით და აქედან გამომდინარე გათვლილია, სათემო ფსიქიატრიული ამბულატორიული სამსახურის რამდენი ოფისი და სად არის საჭირო ჩვენს ქვეყანაში, რათა მოხდეს გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია რეკომენდაციებში მოცემული სათემო ფსიქიატრიული ამბულატორიული სერვისების განფასება, რომელიც ეყრდნობა საერთაშორისო მტკიცებულებებს და ქვეყანაში არსებულ გამოცდილებას. განფასება მოიცავს ერთი მულტიდისციპლინური გუნდისთვის 1 თვის განმავლობაში საჭირო პირდაპირ და არაპირდაპირ ხარჯებს.

რეკომენდაციები ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის დიფერენცირებულ პროგრამებთან დაკავშირებით ეხება მძიმე და ხანგრძლივი ფსიქიკური აშლილობების მქონე მოზრდილ პირებს და დაყოფილია სამ ძირითად ნაწილად. პირველ ნაწილში მოცემულია ფსიქო-სოციალური

რეაბილიტაციის ზოგადი პრინციპები, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის რეკომენდებული ინტერვენციების სახეები და მათი ზოგადი აღწერილობა. მეორე ნაწილი მოიცავს რეკომენდაციებს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცალკეულ დანესებულებებში/სერვისში ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მეთოდების კონკრეტული პაკეტის დანერგვასთან დაკავშირებით. მესამე ნაწილი მოიაზრება როგორც ერთგვარი გზამკვლევი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცალკეული მეთოდების გამოყენების გამოცდილების შესახებ და მათი პრაქტიკაში დანერგვისათვის საჭირო მოსამზადებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით. რეკომენდაციებს ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის დიფერენცირებული პროგრამების შესახებ თან ახლავს, როგორც ცალკე თავი, „ფსიქიატრიული სარეაბილიტაციო სერვისების განფასება“. იგი, თავის მხრივ, შედგება ცალკეული ნაწილებისაგან, როგორიცაა, მაგ: სამუშაო პროცესის აღწერილობა, პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯების გაანგარიშების მეთოდოლოგია და სხვა. განფასებულია თითოეული სარეაბილიტაციო ინტერვენცია იმ ფსიქიატრიული დანესებულებების/სერვისების ფარგლებში, რომლებსაც ეხება აღნიშნული რეკომენდაციები.

ავტორთა კოლექტივი იმედოვნებს, რომ აღნიშნული რეკომენდაციები და თანდართული ფინანსური გათვლები დახმარებას გაუწევს საქართველოში ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს დაგეგმვაზე მომუშავე პასუხისმგებელ პირებს და ასახვას პპოვნებს ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროზე ორიენტირებულ სახელმწიფო პროგრამებში და სტანდარტებში.

და ბოლოს, საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის კოალიცია მადლობას უხდის ყველა იმ პირს, დანესებულებას თუ ორგანიზაციას, რომლებმაც წვლილი შეიტანეს აღნიშნული რეკომენდაციების მომზადებაში – მონაწილეობდნენ კვლევაში როგორც რესპოდენტები, იძლეოდნენ უკუკავშირის საქმიანი შენიშვნების სახით ჩვენს მიერ მომზადებულ მასალაზე, გვეხმარებოდნენ ცალკეული საქმიანობების ორგანიზებაში და მონაწილეობას იღებდნენ შეხვედრებსა და მრგვალი მაგიდის სხდომებში.

ფსიქიკური აშლილობის მქონე ზრდასრული პირების ფსიქო-სოციალური (ფსიქიატრიული) რეაბილიტაცია რეკომენდაცია

თავი I. ზოგადი ნაწილი

1. რეაბილიტაციის მოკლე მიმოხლვა.

ფსიქო-სოციალური (ფსიქიატრიული) რეაბილიტაცია თემზე დაფუძნებული ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ფსიქო-სოციალური თერაპია/რეაბილიტაცია მკურნალობის ბიოლოგიურ მეთოდებთან ერთად წარმოადგენს აუცილებელ თერაპიულ სტრატეგიას. ბიოლოგიური და ფსიქო-სოციალური თერაპიები ავსებენ და ეხმარებიან ერთმანეთს. მათი საბოლოო მიზანია პაციენტის, როგორც პიროვნების აღდგენა, მისი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

„ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია არის პროცესი, რომელიც საშუალებას აძლევს ფსიქიკური აშლილობით გამოწვეული დაზიანების, დისფუნქციის თუ შეზღუდვის მქონე ინდივიდს მიაღწიოს საზოგადოებაში დამოუკიდებლად ფუნქციონირების მისთვის ოპტიმალურ დონეს (WHO; 1995, 2001)“. იგი გულისხმობს ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა მხარდამჭერი სამსახურების მრავალგვარიანი ქსელის განვითარებას, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობენ ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვა სერვისებთან.

2. რეკომენდაციების მიზანია ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სერვისის ხარისხის გაუმჯობესება საქართველოს მოსახლეობისთვის, კერძოდ:

- 2.2 საქართველოს მოსახლეობისთვის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სერვისზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- 2.3 ფსიქიატრიული მკურნალობის და ზრუნვის ეფექტური სერვისის მინოდება;
- 2.4 ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციური მომსახურების ხარჯთეფექტური სერვისის დანერგვა საქართველოში.

3. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პრინციპები:

ფსიქო-სოციალური ინტერვენციები ხორციელდება შემთხვევის მართვისა და მულტი-დისციპლინურ გუნდად (მდგ) მუშაობის მეთოდის გამოყენებით, ინდივიდუალური, მიზანზე ორიენტირებული, გაზომვადი და დროში ლიმიტირებული რეაბილიტაციის გეგმის შედგენის საფუძველზე. მეთოდი იძლევა საშუალებას, მომსახურება მაქსიმალურად მიესადაგოს მომხმარებლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. მეთოდი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ა) მულტიდისციპლინური გუნდის (მდგ) მიერ მომხმარებლის საჭიროებათა შეფასება – გულისხმობს ბენეფიციარის ინდივიდუალური პრობლემების და რესურსების იდენტიფიცირებას აღიარებული მეთოდების გამოყენებით, როგორცა: დაავადების და სოციალური ანამნეზის შეკრება; ფსიქიკური სტატუსის და სოციალური ფუნქციონირების განსაზღვრა – კლინიკური ინტერვიუს და სხვა ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით; სოციალური და კოგნიტური უნარების დეფიციტის გამოვლენა შესაბამისი ვალიდური კითხვარების და ტესტების გამოყენებით (მგ: დღიური აქტიურობის ინსტრუმენტული უნარ-ჩვევების და ბაზისური უნარების შეფასების შკალები – ADL და IADL, კემბერველის საჭიროებათა შეფასების კითხვარი და მსგავსი).
- ბ) მომსახურების ინდივიდუალური გეგმის შედგენა – გულისხმობს მომხმარებლის იდენტიფიცირებული საჭიროებების საფუძველზე დახმარების კონკრეტული, დროში ლიმიტირებული და გაზომვადი რეაბილიტაციის გეგმის შედგენას, სადაც განსაზღვრულია რეაბილიტაციური ჩარევის მიზანი და ინტერვენციებში ჩართული გუნდის წევრების მოვალეობები, შემთხვევაზე პასუხისმგებელი პირი.
- გ) მომსახურების განხორციელება – გულისხმობს მომხმარებლის ინდივიდუალური გეგმით განსაზღვრული ინტერვენციების შესრულებას შესაბამის დროში.
- დ) მონიტორინგა – გულისხმობს გარკვეული პერიოდულობით (მდგ-ს წევრების წინასწარი შეთანხმების საფუძველზე) სარეაბილიტაციო პროცესზე კონტროლის განხორციელებას, დაგეგმილი ამოცანების შესრულების მონიტორინგის მიზნით.
- ე) მომსახურების შედეგების საბოლოო შეფასება – გულისხმობს ბენეფიციარის მდგომარეობის შეფასებას მომსახურებაში ჩართვისას გამოყენებული მეთოდოლოგიით – რამდენად შესრულდა ინდივიდუალური გეგმით დასახული მიზნები, გაუმჯობესდა გარემოში ადაპტაციის, სტრესისადმი ტოლერანტობის, შრომისუნარიანობის, ინტერპერსონალური პრობლემების გადაჭრის უნარი და სხვა.

ამ ეტაპზევე ხდება ახალი საჭიროებების გამოვლენა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რასაც შემდგომში დაეყრდნობა ახალი რეაბილიტაციის გეგმა.

თითოეულ ბენეფიციარს მასთან მომუშავე მულტიდისციპლინური გუნდიდან ენიშნება შემთხვევის ნამყვანი, რომელიც დაგეგმილ ამოცანებთან დაკავშირებით ანგარიშვალდებულია გუნდის წინაშე.

1.1. პაციენტს უნდა ჰქონდეს საშუალება:

- 1.1.1. გააკეთოს არჩევანი და მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარ თავთან დაკავშირებით;
- 1.1.2. ხელი მიუწვდებოდეს მნიშვნელოვან ინფორმაციაზე მის დაავადებასთან, მკურნალობის და ზრუნვის ალტერნატიულ მეთოდებთან და ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვა სერვისებთან დაკავშირებით.

- 1.1.3. იცოდეს თავისი უფლებები;
- 1.1.4. მიიღოს მონაწილეობა რეაბილიტაციის დაგეგმვის პროცესში

1.2. სერვისის მიმწოდებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ:

- 1.2.1. ინტერვენციის გეგმა თანხმდება პაციენტთან და მის მხარდამჭერ პირთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში),
- 1.2.2. პაციენტს (და/ან მის მხარდამჭერ პირს) ინტერვენციების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება მისთვის გასაგებ ენაზე როგორც წერილობით, ასევე ზეპირად.
- 1.2.3. გეგმა მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: ჩარევის სახეები და განრიგი, მათი ხანგრძლივობა, მოსალოდნელი შედეგები;
- 1.2.4. პაციენტს უფლება აქვს უარი თქვას სარეაბილიტაციო სერვისში ჩართვაზე, ასევე უფლება აქვს შეწყვიტოს აღნიშნული მომსახურების მიღება ნებისმიერ ეტაპზე, რაც ფორმდება წერილობით.

3. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სერვისის მომხმარებელი

- 1.1. მძიმე და ხანგრძლივი ფსიქიკური აშლილობის დიაგნოზის მქონე ზრდასრული პირები, დაავადების შედეგად განვითარებული დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის საჭირო უნარების დეფიციტით, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

4. რეკომენდაციები ეხება ფსიქიკური ჯანმრთელობის შემდეგი სერვისების/პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებს, მიუხედავად მათი იურიდიული ფორმისა და საკუთრებისა:

- 4.1. მწვავე შემთხვევების სტაციონარული მომსახურება;
- 4.2. გრძელვადიანი სტაციონარული მომსახურება;
- 4.3. ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფა;
- 4.4. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია;
- 4.5. სათემო ამბულატორიული მომსახურება;
- 4.6. ადამიანური და ინფრასტრუქტურული რესურსების დეფიციტის მქონე რეგიონებისათვის რეკომენდებულ ახალ, მცირეზღუდვით სერვისს, ე.წ. „დღის აქტივობის კლუბი“.

5. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ინტერვენციის სახეები და მათი ზოგადი აღწერილობა

5.1. ფსიქოგანათლება პაციენტებისთვის:

- 5.1.1. ფსიქოგანათლება ინდივიდუალური: ტარდება 1 სპეციალისტის (ექიმი, ფსიქოლოგი, რომელთაც გავლილი აქვთ სპეციალური სატრენინგო კურსი) მიერ, რეგულარულად, განერილი გრაფიკის მიხედვით, 1-3 ჯერ კვირაში, 20-ნუთიანი სესიების სახით, სულ 5-12 სესია. მოიცავს შემდეგ თემატიკას:
 - ნორმალიზაცია 1-3 სესია, გულისხმობს პაციენტისთვის ინფორმაციის მიწოდებას შემდეგ თემებზე:
 - სხვადასხვა პათოფსიქოლოგიური მდგომარეობები, სიმპტომები;
 - ფსიქიკური აშლილობის გამომწვევი მიზეზები, მიმდინარეობა, გამწვავების პრო-ფილაქტიკა;
 - „ხმებით“, უცნაური აზრებით, „შიშებით“, გუნებ-განწყობის ცვლილებით გამოწვეული დისტრესი;
 - მათი დაძლევის წარმატებული სტრატეგიები.
 - მკურნალობისთვის პაციენტის მოტივირება და მკურნალობის მეთოდების ახსნა – 1-2

- სესია, მოიცავს პაციენტის ინფორმირებას შემდეგ თემებზე:
- ფსიქოტროპული პრეპარატების მოქმედების მექანიზმები და მათი ზეგავლენა დაავადების სიმპტომებზე;
 - ფსიქოტროპული პრეპარატების სწორად მიღება;
 - ფსიქოტროპული პრეპარატების გვერდითი მოვლენები;
- პაციენტისთვის დაავადების გამწვავების გამაფრთხილებელი ნიშნების შესახებ ინფორმაციის მიწოდება – 1-3 სესია:
- დაავადების გამწვავების გამაფრთხილებელი ნიშნები;
 - პირადი გამაფრთხილებელი ნიშნების იდენტიფიცირება;
 - პირადი გამაფრთხილებელი ნიშნების კონტროლი;
 - პერსონალური სიმპტომები და მათი იდენტიფიცირება, დაძლევის სტრატეგიები.
- დაავადების გამწვავების პრევენციის (კრიზისული) გეგმის შემუშავება – 1 -2 სესია; კრიზისული გეგმის 1 პირი რჩება პაციენტის პირად საქმეში, ხოლო მეორე პირი ეძლევა პაციენტს განერისას რეკომენდაციით, რომ გეგმა გაცნოს იმ ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისს, სადაც გააგრძელებს მკურნალობას/რეაბილიტაციას.
- ალკოჰოლის და ნარკოტიკების მადნეობის და მათი მიღების თავიდან აცილების გზების შესახებ ინფორმაციის მიწოდება – 1-2 სესია.
- 5.1.2. ჯგუფური ფსიქოგანათლება – ტარდება სტრუქტურირებული თერაპიული პროგრამის „სოციალურად დამოუკიდებლად ცხოვრების უნარ-ჩვევათა დასწავლა (SILS)“, კერძოდ მისი 2 მოდულის: სიმპტომების კონტროლის და მკურნალობის მართვის მოდულების მიხედვით.
- მოდული ტარდება 2 სპეციალისტის მიერ: ექიმი, ფსიქოლოგი, ექთანი, სოციალური მუშაკი ან სხვა პირი, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი ტრენინგი. ტარდება კვირაში 2-3 ჯერ, 40 წუთიანი ჯგუფური თერაპიის სახით, თითოეული მოდული გრძელდება საშუალოდ 2-4 თვე (ორივე მოდული ერთად 4-8 თვე), 4 – 12 პაციენტისგან შემდგარ ჯგუფში, სულ 32-96 სესია.
- სიმპტომების კონტროლის მოდული: (SILS) (იხ. სახელმძღვანელო (SILS) ტრენინგის სახელმძღვანელო, პაციენტის დღიური);
- მკურნალობის მართვის მოდული (SILS) (იხ. სახელმძღვანელო: (SILS) ტრენინგის სახელმძღვანელო, პაციენტის დღიური).
- 5.1.3. პაციენტის ოჯახის წევრების/მზრუნველების ინდივიდუალური ფსიქოგანათლება – ტარდება 1 სპეციალისტის (ექიმი, ფსიქოლოგი) მიერ, 30 წუთიანი სესიების სახით, სულ 4 – 8 სესიად მოიცავს შემდეგ თემატიკას:
- ინფორმირება ფსიქიკური აშლილობების ფორმების და გამომწვევი მიზეზების შესახებ;
 - დაავადების სიმპტომები და მათი ამოცნობა;
 - დაავადების გამწვავების გამაფრთხილებელი ნიშნები, მათი ამოცნობა და კონტროლი;
 - ფსიქოტროპული პრეპარატების მოქმედების მექანიზმები, გვერდითი მოვლენები, მედიკამენტების მიღების წესი;
 - დაავადების მიმდინარეობის სხვადასხვა ფაზაში პაციენტთან სწორი ურთიერთობის წესები.
- 5.1.4. პაციენტის ოჯახის წევრების/მზრუნველების ჯგუფური ფსიქოგანათლება – ტარდება 1 სპეციალისტის (ექიმი, ფსიქოლოგი) მიერ, 60 წუთიანი სესიების სახით, თვეში 1–3 სესია. მოიცავს 6.1.3 პუნქტში მოცემულ თემატიკას. დამატებითი თემების ჩამონათვალს ადგენს ჯგუფის წამყვანი, გამომდინარე მსმენელთა ინტერესებიდან. ჩატარების გრაფიკისა და თემატიკის შესახებ დაინტერესებულ პირებს ინფორმაცია მიეწოდებათ წინასწარ, შესაბამისი განცხადების საშუალებით.

5.2. ოკუპაციური თერაპია (სოციალურ უნარ-ჩვევათა დასწავლა/აღდგენა) – ეყრდნობა სოციალური უნარ-ჩვევების ვალიდური კითხვარებით შეფასების და ინდივიდუალური სარეაბილიტაციო გეგმის მონაცემებს. ტარდება 1 სპეციალისტის, ოკუპაციური თერაპევტის მიერ. ასეთის არარსებობის შემთხვევაში ატარებს სხვა სპეციალისტი (სოციალური მუშაკი, ექთანი, ფსიქოლოგი, პარაპროფესიონალი), რომელსაც გავლილი აქვთ შესაბამისი სატრენინგო კურსი.

თერაპია ტარდება ინდივიდუალურად და/ან ჯგუფურად.

5.2.1. ინდივიდუალური: მიმართულია ბაზისური უნარების ტრენინგზე. ტარდება კვირაში 1-2-ჯერ 20 წუთიანი სესიის სახით, გრძელდება 3 თვე, სულ 24-48 სესია;

5.2.2. ჯგუფური: ინსტრუმენტული და სხვა ყოფითი უნარების ტრენინგი – ტარდება 2-6 პაციენტისგან შემდგარ ჯგუფში, კვირაში 1-2-ჯერ 40 წუთიანი სესიების სახით, გრძელდება 3 თვე, 24-48 სესია;

5.3. კოგნიტური რეაბილიტაცია (რემედიაცია) – კოგნიტური ფუნქციების (აღქმა, აზროვნება, ყურადღება, მეხსიერება) გავარჯიშება.

გულისხმობს:

- კოგნიტური ფუნქციების პრე- და პოსტტესტირებას და მოსალოდნელი თერაპიული ეფექტის განსაზღვრას;
- პაციენტის შესაბამის სატრენინგო პროგრამაში ჩართვას.

5.3.1. ინდივიდუალური – ტარდება ფსიქოლოგის მიერ, კვირაში 1-2 ჯერ, 20 წუთიანი სესიების სახით, სულ 30 სესია;

5.3.2. ჯგუფური – ტარდება ფსიქოლოგის მიერ, 4-10 პაციენტისგან შემდგარ ჯგუფთან, კვირაში 1-2-ჯერ 40 წუთიანი სესიების სახით, სულ 30 სესია;

5.4. ინტეგრირებული ფსიქოლოგიური თერაპიული პროგრამა (IPT) – ჯგუფური თერაპიული მეთოდი – ემსახურება ქრონიკული ფსიქიკური აშლილობების მქონე ადამიანების მიერ კოგნიტური, დამოუკიდებელი სოციალური ჩვევების და პრობლემის გადაწყვეტის უნარების აღდგენა/დასწავლას; ტარდება 2 სპეციალისტის (ექიმი, ექთანი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი) მიერ, რომელთაც გავლილი აქვთ შესაბამისი სატრენინგო კურსი IPT-ში, 6 – 10 პაციენტისგან შემდგარ ჯგუფთან, კვირაში 2-3-ჯერ, 40 წუთიანი სესიების სახით, გრძელდება საშუალოდ ექვსი თვე, სულ 48 – 72 სესია.

5.5. კომუნიკაციური უნარ-ჩვევების დასწავლა – ჯგუფური თერაპიული მეთოდი. ემსახურება კომუნიკაციის ბაზისური უნარების დასწავლა/აღდგენას. ტარდება 2 სპეციალისტის (ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი) მიერ, 6 – 10 პაციენტისგან შემდგარ ჯგუფში, კვირაში 1-2-ჯერ 40 წუთიანი სესიების სახით, გრძელდება საშუალოდ ორი თვე, სულ 8-16 სესია და მოიცავს შემდეგ თემებს:

- რა არის კომუნიკაციური უნარ-ჩვევა, ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია;
- ემოციების ვერბალიზება: ემოციების „ღიად“ და „ფარულად“ გამოხატვა;
- როგორ გავაუმჯობესოთ ურთიერთობები ახლობლებთან;
- უცნობი ადამიანების კეთილგანწყობის მოპოვება;
- საკუთარი უფლებების დაცვა;
- საუბარი ფსიქიკურ დაავადებაზე.

5.6. დღის აქტივობა – წარმოადგენს ჯგუფურ აქტივობას/თერაპიას და გულისხმობს თავისუფალი დროის შინაარსიანად გატარების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებს, რომლებიც ამავდროულად ხელს უწყობს ასთენიზაციის, თვითიზოლაციის, მოტივაციის დაქვეითების პრევენციას და დეფიციტური სოციალური და კოგნიტური უნარების და ელემენტარული შრომითი უნარების გაუმჯობესებას. დღიურ აქტივობას უძღვება 1 სპეციალისტი: (სოციალური მუშაკი, ექთანი, ერგოთერაპევტი, არტთერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი,

პარასპეციალისტი). ტარდება კვირაში 3-5-ჯერ, 60-90 წუთიანი სესიების სახით. აქტივობის სახე შეირჩევა კონკრეტულ სერვისში ხელმისაწვდომი ადამიანური, მატერიალური და ინფრასტრუქტურული რესურსებიდან გამომდინარე. პაციენტი ირჩევს მისთვის სასურველ აქტივობას არსებული შეთავაზებიდან. რეკომენდებულია დღის აქტივობების შემდეგი ფორმები:

- **ხელოვნებით თერაპია:** ხატვა, ძერწვა, მუსიკალური და სხვა მხატვრული ღონისძიებები;
- **ერგოთერაპია:** სხვადასხვა ხელსაქმე: ქსოვა, ქარგვა, კერვა, დაზიანებული ნივთების შეკეთება, მუშაობა სხვადასხვა მასალაზე მხატვრული ნაწარმის და ყოფითი ნივთების დასამზადებლად და მისთ.
- **ღია ვერბალური ჯგუფები** – არასტრუქტურირებული ჯგუფური თერაპია – როგორცაა, მაგალითად, ბენეფიციართა ურთიერთდახმარების ჯგუფები ან/და ჯგუფური შეხვედრები/საუბრები ინტერესების მიხედვით.

5.7. რეკრეაციული ღონისძიებები – პაციენტისთვის შეთავაზებული აქტივობების ნუსხა:

- 5.7.1. ექსკურსია;
- 5.7.2. სპორტული ღონისძიებები;
- 5.7.3. სადღესასწაულო ღონისძიებები;

თავი II. რეკომენდაციები ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებში ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ინტერვენციების განხორციელებასთან დაკავშირებით

1. მოკლევადიანი ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურების ფარგლებში ფსიქო-სოციალური სერვისის ორგანიზება

1. რეკომენდებული სარეაბილიტაციო ღონისძიებები:
 - 1.1. პაციენტების ინდივიდუალური ფსიქოგანათლება (იხ: თავი I, 6.1.1. ქვეპუნქტი) – 20 წუთიანი სესიის სახით, სულ 5 სესია;
 - 1.2. პაციენტის ოჯახის წევრების/მზრუნველების ინდივიდუალური ფსიქოგანათლება (იხ: თავი I, 6.1.3. ქვეპუნქტი) – 30 წუთიანი სესიების სახით, სულ 4 სესია
 - 1.3. პაციენტის ოჯახის წევრების/მზრუნველების ჯგუფური ფსიქოგანათლება – (იხ: თავი I, 6.1.4. ქვეპუნქტი) – 60 წუთიანი სესიების სახით, თვეში 4-ჯერ.
 - 1.4. დღის აქტივობები (თავი I, 6.6 ქვეპუნქტი.) – პაციენტის სურვილის გათვალისწინებით.

საჭირო ინფრასტრუქტურა:

- ოთახი ინდივიდუალური შეხვედრებისათვის – არანაკლებ 12 კვ/მ;
- ოთახი ჯგუფური თერაპიისთვის – არანაკლებ 30 კვ/მ;
- ინვენტარი: მაგიდები, სკამები, კომპიუტერული ტექნიკა, დაფა, საკანცელარიო ნივთები და სხვა.
- დღიური აქტივობებისათვის საჭირო მასალები: ფურცლები, საღებავები, საკერავი, საქსოვი და საქარგავი ნივთები და სხვა.

2. გრძელვადიანი ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურების ფარგლებში ფსიქო-სოციალური სერვისის ორგანიზება

2.4. გრძელვადიანი სტაციონარული მომსახურების ფარგლებში რეკომენდებულია შეთავაზებულ იქნას შემდეგი სარეაბილიტაციო ღონისძიებები:

- 2.4.1. ჯგუფური ფსიქოგანათლება – „სოციალურად დამოუკიდებლად ცხოვრების უნარ-ჩვევათა დასწავლა (SILS)“-ის მიხედვით. ტარდება კვირაში 2 – ჯერ, 40 წუთიანი ჯგუფური სესიების სახით, სულ 32 სესია. ჯგუფი შედგება 4 – 12 პაციენტისგან (თავი I, 6.1.2 ქვეპუნქტი);
- 2.4.2. სოციალურ უნარ-ჩვევათა დასწავლა/აღდგენა (ოკუპაციური თერაპია) (თავი I, 6.3 პუნქტი):
 - 2.4.2.1. ინდივიდუალური – 20 წუთიანი თერაპიის სახით, სულ 24 სესია,
 - 2.4.2.2. ჯგუფური – 40 წუთიანი ჯგუფური თერაპიის სახით, სულ 28 სესია, ჯგუფი შედგება 4 – 12 პაციენტისგან.
- 2.4.3. კოგნიტური რეაბილიტაცია (რემედიაცია) – კოგნიტური ფუნქციების ჯგუფური ტრენინგი – კვირაში 1-ჯერ, 40 წუთიანი ჯგუფური თერაპიის სახით, სულ 32 სესია, ჯგუფი შედგება 4 – 12 პაციენტისგან (თავი I, 6.3 პუნქტი);
- 2.4.4. ინტეგრირებული ფსიქოლოგიური თერაპიული მოდული (IPT) – ჯგუფური თერაპია – კვირაში 2-ჯერ, 40 წუთიანი სესიების სახით, სულ 48 სესია. ჯგუფი შედგება 4 – 12 პაციენტისგან (თავი I, 6.4 პუნქტი);
- 2.4.5. კომუნიკაციური უნარ-ჩვევების დასწავლა – ჯგუფური თერაპია, კვირაში 1-ჯერ 40 წუთიანი სესიების სახით. სულ 8 სესია (თავი I, 6.5 პუნქტი);

- 2.4.6. **დღის აქტივობები**, – კვირაში 3-ჯერ, 60 წუთიანი ჯგუფური შეხვედრების სახით, ჯგუფი შედგება 4 – 12 პაციენტისგან (თავი I, 6.6 პუნქტი);
- 2.4.7. **რეკრეაციული ღონისძიებები** – (თავი I, 6.7. პუნქტი);

საჭირო ინფრასტრუქტურა:

- ოთახი ინდ. შეხვედრებისათვის – არანაკლებ 12 მ²;
- ოთახი ჯგუფური თერაპიისთვის – არანაკლებ 30 მ²;
- ინვენტარი: მაგიდები, სკამები, კომპიუტერული ტექნიკა, დაფა, საკანცელარიო ნივთები და სხვა;
- დღის აქტივობებისათვის საჭირო მასალები: ფურცლები, საღებავები, საკერავი, საქსოვი და საქარგავი ნივთები და სხვა.

3. ფსიქიკური აშლილობების მქონე პირთა თავშესაფრის ფარგლებში ფსიქო-სოციალური სერვისის ორგანიზება

3.1. თავშესაფრის ცალკეული ბენეფიციარისთვის სარეაბილიტაციო ინტერვენციები შეირჩევა დამოუკიდებლად ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების შეფასების საფუძველზე შედგენილი ინდივიდუალური სარეაბილიტაციო გეგმის მიხედვით. ზოგადად, თავშესაფრის ფარგლებში რეკომენდებულია შეთავაზებულ იქნას შემდეგი სარეაბილიტაციო ღონისძიებები:

3.1.1. ოკუპაციური თერაპია (სოციალურ უნარ-ჩვევათა დასწავლა/აღდგენა) (თავი I, 6.3 პუნქტი):

3.1.1.1. ინდივიდუალური: 20–წუთიანი თერაპიის სახით, სულ 28 სესია;

3.1.1.2. ჯგუფური თერაპია – 40 წუთიანი ჯგუფური თერაპიის სახით, სულ 32 სესია, ჯგუფი შედგება 4 – 12 პაციენტისგან.

3.1.2. **კოგნიტური რეაბილიტაცია (რემედიაცია)** – კოგნიტური ფუნქციების ჯგუფური ტრენინგი – კვირაში 3-ჯერ, 40 წუთიანი ჯგუფური თერაპიის სახით, სულ 48 სესია, ჯგუფი შედგება 4 – 12 პაციენტისგან (თავი I, 6.3 პუნქტი);

3.1.3. **ინტეგრირებული ფსიქოლოგიური თერაპიული პროგრამა (IPT)** – ჯგუფური თერაპია – კვირაში 2-ჯერ, 40 წუთიანი ჯგუფური თერაპიის სახით, სულ 48 სესია, ჯგუფი შედგება 4 – 12 პაციენტისგან (თავი I, 6.4 პუნქტი);

3.1.4. **კომუნიკაციური უნარ-ჩვევების დასწავლა-** ჯგუფური თერაპია, კვირაში 1-ჯერ 40 წუთიანი სესიების სახით, სულ 12 სესია (თავი I, 6.5 პუნქტი);

3.1.5. **დღის აქტივობები**, – კვირაში 5-ჯერ, 60 წუთიანი ჯგუფური შეხვედრების სახით, ჯგუფი შედგება 4 – 12 პაციენტისგან – (თავი I, 6.6 პუნქტი);

3.1.6. **რეკრეაციული ღონისძიებები** – (თავი I, 6.7 პუნქტი);

სპორტული ღონისძიებები – თვეში 4-ჯერ;

სადღესასწაულო საღამოები – წელიწადში 2–4-ჯერ;

ექსკურსია – სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ.

საჭირო ინფრასტრუქტურა:

- ოთახი ინდივიდუალური შეხვედრებისათვის – არანაკლებ 12 მ²;
- ოთახი ჯგუფური თერაპიისთვის – არანაკლებ 30 მ²;
- ინვენტარი: მაგიდები, სკამები, კომპიუტერული ტექნიკა, დაფა, საკანცელარიო ნივთები და სხვა;
- დღიური აქტივობებისათვის საჭირო მასალები: ფურცლები, საღებავები, საკერავი, საქსოვი და საქარგავი ნივთები და სხვა.

ჯგუფური სარეაბილიტაციო ინტერვენციები შესაძლებელია ასევე ჩატარდეს თავშესაფრის ფარგლებს გარეთ არსებულ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის დღის ცენტრის ფარგლებში, თუ არსებობს ამის შესაძლებლობა.

4. ამბულატორიული მომსახურების ფარგლებში ფსიქო-სოციალური სერვისის ორგანიზება

- 4.1. ბენეფიციარების ჩართვა ხორციელდება სერვისის მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შედგენილი ინდივიდუალური გეგმის საფუძველზე; საჭიროებათა შეფასების შედეგად გამოვლენილი კოგნიტური და სოციალური უნარ-ჩვევების დეფიციტის შემთხვევაში ხდება რეფერალი ამ რეგიონში არსებულ შესაბამის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის დღის ცენტრში. ასეთის არარსებობის/შეუძლებლობის ან პაციენტის უარის შემთხვევაში სარეაბილიტაციო ინტერვენციები ტარდება იმ მოცულობით, რა შესაძლებლობაც არსებობს აღნიშნულ დანესებულებაში.
- 4.2. პაციენტის ჩართვა სარეაბილიტაციო ღონისძიებებში რეკომენდებულია მკურნალობის ნებისმიერ ეტაპზე;
- 4.3. ამბულატორიის ფარგლებში რეკომენდებულია შეთავაზებულ იქნას შემდეგი სარეაბილიტაციო ღონისძიებები:
 - 4.3.1. **ფსიქოგანათლება** – ინდივიდუალური:
 - 4.3.1.1. პაციენტებისთვის – 20 წუთიანი სესიების სახით, სულ 8 სესია (თავი I, 6.1 პუნქტი);
 - 4.3.1.2. პაციენტის ოჯახის წევრების/მზრუნველებისთვის – 20 წუთიანი სესიების სახით, სულ 8 სესია (თავი I, 6.1 პუნქტი);
 - 4.3.2. **ფსიქოგანათლება** – ჯგუფური:
 - 4.3.2.1. პაციენტის ოჯახის წევრების/მზრუნველების ჯგუფური ფსიქოგანათლება – (იხ: თავი I, 6.1.4. ქვეპუნქტი) – 60 წუთიანი სესიების სახით, თვეში 2-ჯერ.
 - 4.3.3. პაციენტებს და მის მხარდამჭერ პირებს გადაეცემათ საინფორმაციო-საგანმანათლებლო ბუკლეტები, ასევე, ინფორმაცია რეგიონში არსებული ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვა დანესებულებების და მათ მიერ მიწოდებული სერვისების შესახებ.

საჭირო ინფრასტრუქტურა:

- ოთახი ინდივიდუალური შეხვედრებისათვის – 12 მ²;
- ოთახი ჯგუფური თერაპიისთვის – არანაკლებ 30 მ²;
- აღჭურვილობა: მაგიდები, სკამები, კომპიუტერული ტექნიკა, დაფა, საკანცელარიო ნივთები და სხვა.

5. რეკომენდაციები მწირი რესურსების (საკადრო, მატერიალური, ინფრასტრუქტურული) მქონე რეგიონებში ფსიქო-სოციალური დღის აქტივობების განხორციელების შესახებ

- 5.1. სერვისი მოიაზრება, როგორც ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების დღის სარეაბილიტაციო ცენტრის ალტერნატივა რეგიონებისთვის, რომლებიც განიცდიან მატერიალურ, ინფრასტრუქტურულ, ტექნიკურ, საკადრო და სხვა დეფიციტს;
- 5.2. „დღის აქტივობის ცენტრი“ სასურველია წარმოადგენდეს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს, ან იყოს რეგიონში მოფუნქციონირე ამბულატორიული დანესებულების დაქვემდებარებაში;
- 5.3. სასურველია ასეთი ცენტრები ფუნქციონირებდეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ფინანსური ხელშეწყობით;
- 5.4. პერსონალი შეირჩეს ადგილობრივი მოსახლეობიდან, რომლებიც დააკმაყოფილებენ განსაზღვრულ კრიტერიუმებს და გაივლიან ხანმოკლე ტრენინგებს/პრაქტიკას შესაბამის სფეროში.
- 5.5. „დღის აქტივობის ცენტრი“ აქტიურად თანამშრომლობს მის რეგიონში არსებულ

ფსიქიატრიულ ამბულატორიულ დაწესებულებასთან ბენეფიციარების შესახებ ინფორმაციის გაცვლის მიზნით.

- 5.6. პაციენტებს და მათ მხარდამჭერ პირებს გადაეცემათ ფსიქო-საგანმანათლებლო ბუკლეტები, ასევე ინფორმაცია მათ რეგიონში არსებული ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების მიმწოდებელი სხვა დაწესებულებების და მათ მიერ მიწოდებული სერვისების შესახებ.
- 5.7. სერვისი მომსახურებას მიაწვდის სამუშაო დღეებში, 4 საათის განმავლობაში;
- 5.8. სერვისი ემსახურება რეგიონში მცხოვრებ ფსიქიკური აშლილობის მქონე ზრდასრულ პაციენტებს, ნოზოლოგიური კუთვნილების მიუხედავად.
- 5.9. დღის აქტივობის ცენტრში განხორციელებული ღონისძიებები:
 - ✓ დღის აქტივობები (თავი I, პუნქტი 6,6);
 - ✓ რეკრეაციული ღონისძიებები ((თავი I, პუნქტი 6,7);

ბენეფიციარებს მიეწოდებათ ერთჯერადი მსუბუქი ლანჩი;

ცენტრი ახორციელებს დროულ რეფერალს მის რეგიონში არსებულ ფსიქიკური ჯანმრთელობის შესაბამის ამბულატორიულ სერვისში;

საჭირო ინფრასტრუქტურა:

სავალდებულო:

- ოთახი ინდ. შეხვედრებისათვის – არანაკლებ 12 მ²;
- ოთახი დღიური აქტივობებისათვის – არანაკლებ 30მ²;
- სამზარეულო, მინიმალურად აღჭურვილი (გაზქურა, მაცივარი);
- სველი წერტილი;
- საკუჭნაო;
- ოთახი პირადი ნივთების შესანახად;
- ინვენტარი: მაგიდები, სკამები, დაფა, საკანცელარიო ნივთები და სხვა.
- დღიური აქტივობებისათვის საჭირო მასალა: ფურცლები, საღებავები, ფერადი ფანქრები, საკერავი, საქსოვი და საქარგავი ნივთები და სხვა.

სასურველი:

- კომპიუტერული ტექნიკა

6. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის დღის ცენტრის ფარგლებში ფსიქო-სოციალური ინტერვენციების ორგანიზება

- 6.1. რეკომენდაციები მოიცავს ფსიქიკური აშლილობის მქონე ზრდასრული პირებისთვის რეაბილიტაციის დღის ცენტრის ფარგლებში შეთავაზებული ფსიქო-სოციალური დახმარების სრული პაკეტის აღწერას;
- 6.2. ფსიქო-სოციალური ინტერვენციები ხორციელდება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, რომელიც შედგება სულ მცირე, 3 წევრისგან და წარმოადგენენ შემდეგ სპეციალობებს: ექიმი ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ექთანი, ოკუპაციური თერაპევტი, სოციალური მუშაკი. გუნდს ასევე შეიძლება ჰყავდეს დამატებითი წევრები, გამომდინარე ბენეფიციართა საჭიროებებიდან.
- 6.3. პაციენტებს მომსახურება მიეწოდებათ დაავადების მწვავე ეპიზოდის ჩათავეების შემდეგ, დაავადების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე;
- 6.4. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის დღის ცენტრი თავის საქმიანობას ახორციელებს ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ფართში, თუ კმაყოფილდება მარეგულირებელი დოკუმენტაციის მოთხოვნები;
- 6.5. რეაბილიტაციის ცენტრის დაფინანსების წყაროდ მოიაზრება ცენტრალური ბიუჯეტის სახსრები, ასევე, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ფინანსური ხელშეწყობა და საქველმოქმედო შემოწირულობები.
- 6.6. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის დღის ცენტრი ჩართულია პაციენტის მკურნალობის, ზრუნვის და რეფერირების ერთიან, უწყვეტ ქსელში და აქტიურად თანამშრომლობს რეგიონში არსებულ სხვა ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებთან;

- 6.7. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ინდივიდუალური გეგმა დგება ბენეფიციარის რეაბილიტაციის ცენტრში მიღებიდან 2–4 კვირის ვადაში, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ და ითვალისწინებს სხვა ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებიდან მოწოდებულ მკურნალობის და ზრუნვის გეგმებს;
- 6.8. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის დღის ცენტრში პაციენტის მიღება ნებაყოფლობითია და ხდება სხვა ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებიდან და სოციალური სააგენტოდან რეფერალის საფუძველზე, ასევე თვითდინებით, თუ კანდიდატი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: 1. ექიმი–ფსიქიატრის მიერ დადგენილი აქვს მძიმე და ხანგრძლივი ფსიქიკური აშლილობის დიაგნოზი და ამ დაავადების შედეგად აღენიშნება სოციალურ უნარ–ჩვევების და/ან კოგნიტური ფუნქციების დეფიციტი; 2. არ იმყოფება დაავადების გამწვავების სტადიაში; 3. ასაკით არის 18 წლის ზემოთ.
- 6.9. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის დღის ცენტრში განსახორციელებელი ღონისძიებები:
- 6.9.1. ფსიქოგანათლება (თავი I, პუნქტი 6.1):
- 6.9.1.1. პაციენტების ინდივიდუალური ფსიქოგანათლება – 20 წუთიანი სესიის სახით, სულ 5 სესია;
- 6.9.1.2. პაციენტების ჯგუფური ფსიქოგანათლება SILS მიხედვით – 40 წუთიანი სესიის სახით, სულ 64 სესია;
- 6.9.2. სოციალურ უნარ–ჩვევათა დასწავლა/აღდგენა (ოკუპაციური თერაპია) (თავი I, 6.2 პუნქტი):
- 6.9.2.1. ინდივიდუალური – 20 წუთიანი სესიების სახით, სულ 24 სესია,
- 6.9.2.2. ჯგუფური – 40 წუთიანი ჯგუფური თერაპიის სახით, სულ 24 სესია, ჯგუფი შედგება 4 – 12 პაციენტისგან.
- 6.9.3. კოგნიტური რეაბილიტაცია (რემედიაცია) (თავი I, 6.3 პუნქტი)
- 6.9.3.1. კოგნიტური ფუნქციების ჯგუფური ტრენინგი – კვირაში 3-ჯერ, 40 წუთიანი ჯგუფური თერაპიის სახით, სულ 48 სესია, ჯგუფი შედგება 4 – 12 პაციენტისგან;
- 6.9.4. ინტეგრირებული ფსიქოლოგიური თერაპიული პროგრამა (IPT) (თავი I, 6.4 პუნქტი) – ჯგუფური თერაპია – კვირაში 2-ჯერ, 40 წუთიანი ჯგუფური თერაპიის სახით, სულ 48 სესია, ჯგუფი შედგება 4 – 12 პაციენტისგან;
- 6.9.5. კომუნიკაციური უნარ–ჩვევების დასწავლა (თავი I, 6.5 პუნქტი) – ჯგუფური თერაპია, კვირაში ერთხელ 40 წუთიანი სესიების სახით, გრძელდება საშუალოდ 5 თვე, სულ 20 სესია.
- 6.9.6. დღის აქტივობები (თავი I, 6.6 პუნქტი), კვირაში 5-ჯერ, 60 წუთიანი ჯგუფური შეხვედრების სახით, გრძელდება უწყვეტად, ჯგუფი შედგება 4 – 12 პაციენტისგან;
- 6.9.7. რეკრეაციული ღონისძიებები – (თავი I, 6.7 პუნქტი);
სპორტული ღონისძიებები – თვეში 4-ჯერ;
სადღესასწაულო საღამოები – წელიწადში 3-ჯერ;
ექსკურსია – სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ.

საჭირო ინფრასტრუქტურა:

- საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული შესაბამისი დადგენილების მიხედვით.

თავი III. რეკომენდაციები ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცალკეული მეთოდების დანერგვასა და გამოყენებასთან დაკავშირებით

ამ თავში მოკლედაა განმარტებული, თუ რატომ შეირჩა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მრავალფეროვანი მეთოდებიდან აქ აღწერილი კონკრეტული მეთოდები და რა მოსამზადებელი სამუშაოებია ჩასატარებელი ჩვენი ქვეყნის ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მათ დასანერგად.

სარეკომენდაციო სარეაბილიტაციო მეთოდების შერჩევისას სამუშაო ჯგუფმა პირველ რიგში გაითვალისწინა შემდეგი გარემოებები: 1. ქვეყანაში დღეს არსებული ადამიანური, მატერიალური, ინფრასტრუქტურული და ინტელექტუალური რესურსი და მათი განვითარების პერსპექტივა უახლოესი 3-5 წლისთვის; 2. ბენეფიციარების და მათი ოჯახის ნევრების/მზრუნველების საჭიროებები, რომლებიც იდენტიფიცირებულ იქნა ამ ჯგუფების საჭიროებების თვისობრივი კვლევის საფუძველზე, ფოკუს-ჯგუფების მეთოდით; 3. დარგის პროფესიონალებთან ჩაღრმავებული ინტერვიუების და დისკუსიების დროს გამოთქმული შენიშვნები და მოსაზრებები; 4. სხვადასხვა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში სარეაბილიტაციო ინტერვენციების და სხვა არაბიოლოგიური ჩარევის მეთოდების დანერგვისა და გამოყენების დღემდე არსებული გამოცდილება.

რეკომენდებული სარეაბილიტაციო მეთოდებიდან ზოგიერთი უკვე დანერგილია და წარმატებით მუშაობს სხვადასხვა სერვისში, ნაწილი კი მათ დანერგვამდე საჭიროებს მთელ რიგ მოსამზადებელ სამუშაოებს, რაც, სურვილის არსებობის შემთხვევაში, რეალურად განხორციელებადია ქვეყანაში ამჟამად არსებული რესურსებით.

სამუშაო ჯგუფი ითვალისწინებს, რომ აქ ჩამოთვლილი ყველა სარეაბილიტაციო მეთოდის ერთდროულად დანერგვა შესაბამის სერვისებში სირთულეებთანაა დაკავშირებული (ადამიანური, ფინანსური და ინფრასტრუქტურული დეფიციტის გამო). ამის გამო რეკომენდებულია მათი ეტაპობრივი დანერგვა გამომდინარე კონკრეტული სერვისის შესაძლებლობიდან, სერვისის მომხმარებლების პირველი რიგის საჭიროებების შესაბამისად.

მოკლედ შევეხებით თითოეულ მეთოდს და მის დანერგვასთან დაკავშირებულ პირობებს.

1. ფსიქოგანათლება

- **1.1. ფსიქოგანათლება პაციენტებისთვის:** პაციენტების ფსიქოგანათლება მოიაზრება როგორც ერთ-ერთი ყველაზე აუცილებელი, ბაზისური მეთოდი ფსიქიკური აშლილობების მქონე პირთათვის არაბიოლოგიური ინტერვენციის სფეროში. მსოფლიო მასშტაბით შემუშავებული და დანერგილია ბევრი სხვადასხვა ფსიქოსაგანმანათლებლო მეთოდი. მათგან ერთ-ერთი პირველი, ვალიდური და ფართოდ გავრცელებული მეთოდია SILS-სოციალურად დამოუკიდებლად ცხოვრების უნარ-ჩვევათა დასწავლის პროგრამა და მისი 2 მოდული, კერძოდ: „სიმპტომების კონტროლის მოდული“ და „მკურნალობის მართვის მოდული“.

- 1.1.1. **ჯგუფური:** ზემოთ აღნიშნული სოციალურად დამოუკიდებლად ცხოვრების უნარ-ჩვევათა დასწავლის პროგრამა (SILS) და მისი ორივე მოდული წლების წინ წარმატებით ადაპტირდა და დაინერგა საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაციის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრში. ამ მეთოდს ასევე მიღებული აქვს აკრედიტაცია ექიმთა უწყვეტი განათლების საბჭოს მიერ და რამდენიმე წლის განმავლობაში ფსიქიკური ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტებს უტარდებოდათ ტრენინგი ამ მეთოდში, რის შედეგადაც იგი დაინერგა რამდენიმე სხვა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, მათ შორის რეგიონებშიც. აქედან გამომდინარე, ჯგუფური ფსიქოგანათლების ამ მეთოდის დანერგვისათვის ყველა შესაბამის სერვისში საჭირო იქნება: ა) სპეციალისტებისათვის სატრენინგო პროგრამის განახლება პროგრამის ხელახალი აკრედიტაციით (მოთხოვნის შემთხვევაში) და ბ) რამდენიმე სატრენინგო კურსის ორგანიზება თბილისში და რეგიონებში (არსებობს ადამიანური რესურსი – გამოცდილების მქონე ტრენერთა ჯგუფი). ამგვარად, შესაბამისი ნების არსებობის შემთხვევაში ჩარევის ამ მეთოდის დანერგვა სიძნელეს არ წარმოადგენს.

- 1.1.2. **ინდივიდუალური:** აღწერილი სიმპტომთა და მედიკამენტების მართვის მოდულები, ავტორების მიხედვით, გარკვეული გადამუშავების შემთხვევაში შესაძლოა ჩატარდეს ინდივიდუალურადაც. ამაზე დაყრდნობით, აღნიშნული მეთოდის დასანერგად

რეკომენდებულია ა) შემუშავდეს სახელმძღვანელო/მანუალი რეკომენდაციებში ჩამოთვლილი თემატიკის მიხედვით და ბ) ჩატარდეს მოკლევადიანი ტრენინგები ამ მეთოდში.

- 1.1. **პაციენტის ოჯახის წევრების/მზრუნველების ფსიქოგანათლება:** არსებობს მრავალფეროვანი რესურსი ამ მეთოდისთვის როგორც სახელმძღვანელოების, ისე ინტერნეტ-გვერდების სახით. საქართველოში არ არის შემუშავებული ერთიანი ხედვა ამ მეთოდთან დაკავშირებით.
- 1.1.1. **ინდივიდუალური:** რეკომენდებულია ძირითადი თემები (იხ. ზემოთ), რასაც უნდა მოიცავდეს ეს ჩარევა. აღნიშნული მეთოდის დასაწერად ასევე საჭიროა ა) ერთიანი სახელმძღვანელოს შექმნა; ბ) მოკლევადიანი ტრენინგების ჩატარება ამ მეთოდში.
- 1.1.2. **ჯგუფური:** სასურველია იგივე თემატიკის აღება ძირითად თემებად და იმავე ტრენინგის გავლა, რაც ინდივიდუალური ფსიქოგანათლების დანერგვისთვისაა რეკომენდებული. ასევე სასურველია, ჯგუფის წამყვანს ჰქონდეს კვალიფიკაცია/ცოდნა ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვადასხვა საკითხში დამატებით თემებზე სასაუბროდ, გამომდინარე მსმენელთა მოთხოვნიდან.
1. **ოკუპაციური თერაპია (სოციალურ უნარ-ჩვევათა დასწავლა/აღდგენა)** – ფსიქოგანათლებასთან ერთად წარმოადგენს ძირითად მეთოდს მძიმე და ხანგრძლივი ფსიქიკური აშლილობების მქონე პირების ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციაში. ჩვენს ქვეყანაში დღემდე არ არის შემუშავებული სისტემური, ვალიდურ მეთოდებზე დაყრდნობილი სახელმძღვანელო ამ სამიზნე ჯგუფისათვის. ამასთან, ქვეყანა განიცდის ოკუპაციური თერაპიების განათლების მქონე კადრების მნიშვნელოვან დეფიციტს. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია ა) ოკუპაციურ თერაპევტთა ჩართულობით შეიქმნას სატრენინგო მოდული სამიზნე ჯგუფისათვის ბაზისური და სხვა ყოფითი უნარების დასწავლა/აღდგენის მეთოდების შესწავლის მიზნით; ბ) ორგანიზებულ იქნას ტრენინგები ამ სფეროში დასაქმებული პირებისთვის.
2. **კოგნიტური რეაბილიტაცია (რემედიაცია)** – კოგნიტური ფუნქციების დეფიციტი მძიმე ფსიქიკური აშლილობების ხშირი თანმდევი შედეგია და ამდენად მნიშვნელოვანია ამ ჩარევის დანერგვა ფსიქიატრიულ სერვისებში. არსებობს კოგნიტური რეაბილიტაციის მრავალი ვალიდური მეთოდი, თუმცა ჩვენს ქვეყანაში დღემდე მათი შესყიდვა/ადაპტაცია და დანერგვა არ განხორციელებულა. სასურველია სპეციალისტებთან ერთად (ფსიქოლოგი, ფსიქიატრი) შეირჩეს, შესყიდულ და ადაპტირებულ იქნას ერთ-ერთი ასეთი მეთოდი მისი ფსიქიატრიულ სერვისებში დანერგვის პერსპექტივით. ალტერნატიულ, დროებით გამოსავლად გვესახება ასევე სპეციალისტების ჯგუფის მიერ კოგნიტურ ფუნქციათა გასაფარჯიშებელი სხვადასხვა მეთოდების მოძიება/შექმნა და მისი ადაპტაცია/გავრცელება.
3. **ინტეგრირებული ფსიქოლოგიური თერაპიული მოდული (IPT), ჯგუფური თერაპია** – ემსახურება კოგნიტური და ძირითადი სოციალური უნარების ჯგუფში გავარჯიშებას და შექმნილია სპეციალურად შიზოფრენიით დაავადებული პაციენტებისათვის. ეს მეთოდიც მრავალი წელია თარგმნილი, ადაპტირებული და დანერგილია საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაციის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრში. მასაც აქვს მიღებული აკრედიტაცია ექიმთა უწყვეტი განათლების საბჭოს მიერ და ჩატარებულია ტრენინგები, რის შედეგადაც იგი დაინერგა რამდენიმე სხვა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. ამ ჯგუფური თერაპიული მეთოდის იმპლემენტაციისათვის ყველა შესაბამის სერვისში საჭირო იქნება: ა) სპეციალისტებისათვის სატრენინგო პროგრამის განახლება პროგრამის ხელახალი აკრედიტაციით (მოთხოვნის შემთხვევაში); ბ) რამდენიმე სატრენინგო კურსის ორგანიზება. ამგვარად, შესაბამისი ნების არსებობის შემთხვევაში ჩარევის ამ მეთოდის დანერგვა სიძნელეს არ წარმოადგენს.
4. **კომუნიკაციური უნარ-ჩვევების დასწავლა – ჯგუფური თერაპიული მეთოდი** – ბენეფიციართა საჭიროებების კვლევის პროცესში ბაზისური კომუნიკაციური უნარების დეფიციტი და-სახელდა ერთ-ერთ წამყვან პრობლემად, რაც თანხვედრაშია სხვა წყაროების მონაცემებთან ამ სფეროში. ჩვენს ქვეყანაში დღემდე არ არსებობს ერთიანი, გაზიარებული სატრენინგო მოდული/მეთოდი, რომელიც ამ დეფიციტზე იქნება მიმართული. თუმცა ზოგადად არსებობს ბევრი სატრენინგო მოდული ჩვენი სამიზნე ჯგუფისთვის. საქართველოს ფსიქიკური

ჯანმრთელობის ასოციაციის თანამშრომელთა მიერ რამდენიმე წლის წინ ითარგმნა და ადაპტირდა ერთ-ერთი ასეთი სატრენინგო მეთოდი, რომელიც წარმატებით ტარდებოდა ამავე ორგანიზაციის დღის სარეაბილიტაციო ცენტრის პაციენტებთან. ამდენად, საწყის ეტაპზე შესაძლებელია ამ მეთოდზე დაყრდნობით შემუშავდეს კომუნიკაციური უნარების სატრენინგო მოდული, რომელიც შესაბამისი ტრენინგების ორგანიზების შემდეგ დაინერგება ფსიქიატრიულ დანესებულებებში.

5. **დღის აქტივობა** – შეიძლება განვიხილოთ, როგორც დამხმარე მეთოდი კოგნიტური და სოციალური უნარების და ელემენტარული შრომითი უნარების გაუმჯობესება/აღდგენის საქმეში. იგი არ მოიაზრება უშუალოდ სტრუქტურირებულ სარეაბილიტაციო ინტერვენციად, ვინაიდან აქ შემავალ მეთოდებს არ აქვთ შედეგების შემოწმების ზუსტი კრიტერიუმები. დღის აქტივობების დანერგვა ფსიქიატრიულ სერვისებში ასევე დადებით როლს შეასრულებს ბენეფიციართა მოტივაციის და შემოქმედებითი უნარების ამაღლების საქმეში, შინაარსიანად შეავსებს მათ თავისუფალ დროს. სამომავლოდ, სფეროში შესაბამისი სპეციალისტების და სხვა საჭირო რესურსების მოზიდვის შემდეგ შესაძლებელი გახდება არტთერაპია და ერგოთერაპია გამოიყოს დამოუკიდებელ სარეაბილიტაციო ინტერვენციებად. ამჟამად, შესაბამისი სპეციალისტის არარსებობის შემთხვევაში ამ ჯგუფების წამყვანი შეიძლება იყოს კრეატიული უნარების და ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტებთან მუშაობის პრაქტიკული გამოცდილების მქონე ნებისმიერი პირი, მათ შორის მომიჯნავე სპეციალობებიდანაც, ან პირი, რომელიც გაივლის ხანმოკლე პრაქტიკას შესაბამის სერვისში.
6. **რეკრეაციული ღონისძიებები** – ასევე არ მიეკუთვნება სარეაბილიტაციო მეთოდებს ამ სიტყვის ვიწრო გაგებით. იგი ემსახურება პაციენტთა რესოციალიზაციას და ადაპტაციას და სასურველია პერიოდულად მათი შეთავაზება ფსიქიატრიული სერვისების ბენეფიციარებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1) შიზოფრენიის მკურნალობა და მართვა – კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია
- 2) ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის დიფერენცირებული პროგრამები, პირველადი მიგნებები და რეკომენდაციები. საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის კოალიცია, 2017 წ.
- 3) ჩემს ახლობელს ფსიქიკური აშლილობა აქვს. გზამკვლევი ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა ოჯახის წევრებისათვის; საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის კოალიცია, 2015 წ.
- 4) შემთხვევის მართვა ფსიქიატრიაში, სტივ ონიეტი; ინტეგრირებული ფსიქოლოგიური თერაპიული პროგრამა, ფოლკერ როდერი, ჰანს დიტერ ბრენერი, ნორბერტ კინცლე. გამომცემლობა ანმყო 2003წ.
